

ინსტრუქცია თავშესაფრის მამიებელთათვის ჯანდაცვის მუშაკთა მიერ სამედიცინო გამოკვლევების თაობაზე

საქსონიის მიწაზე თქვენ შემოხვედით, როგორც თავშესაფრის მამიებელი და ჯანდაცვის პასუხისმგებელი უწყების მიერ ჩაგიტარდებათ გამოკვლევა. კვლევის მიზანია, შეძლებისდაგვარად სწრაფად გამოვლინდეს გადამდები დაავადებები, ჩატარდეს მკურნალობა და გატარდეს ღონისძიებები დაავადების შემდგომი გავრცელების თავიდან აცილების მიზნით. ამდენად, გამოკვლევა პირველ რიგში შედის თქვენს ინტერესებში, თუმცა, ამავდროულად, იმ პირთა ინტერესებშიც, ვინც თქვენთან ერთად საერთო საცხოვრებელში ცხოვრობს.

კვლევა მოიცავს ორგანიზმის საერთო გამოკვლევას (იმდენად, რამდენადაც იგი გადამდები დაავადების გამოსავლენად არის საჭირო), გულ-მკერდის რენტგენს (15 წლის ასაკიდან), ასევე კანის ტესტს ტუბერკულოზზე 15 წლის ასაკამდე ბავშვებში და ორსულებში, შემდგომ 13 წლის ასაკიდან სისხლის ანალიზს A და B ჰეპატიტის (ინფექციური სიყვითლე), ასევე წითელას, ყბაყურას, წითურას და ჩუტყვავილას წინააღმდეგ იმუნიტეტის გამოსავლენად. ავადმყოფობაზე ეჭვის გაჩენის შემთხვევაში ჩატარდება განავლის ანალიზი ნაწლავური ინფექციის გამომწვევი მიზეზის დასადგენად.

იმ შემთხვევაში, თუ ჯანდაცვის უწყების ექიმს ეჭვი გაუჩნდება სხვა დაავადებების არსებობის თაობაზე, დაინიშნება უფრო მრავლისმომცემი გამოკვლევები.

გამოკვლევების ჩატარების შემდეგ თქვენ გადმოგეცემათ სამედიცინო ცნობა.

თუ საჭირო გახდება გადამდები დაავადებების შემდგომი გავრცელების თავიდან აცილება, შესაბამისად, თუ აღმოგჩნდათ დაავადების საწყისი ნიშნები, რომელთა მკურნალობაც აუცილებელია, ჯანდაცვის უწყება გამოკვლევების შედეგებს გადასცემს სხვა პასუხისმგებელ უწყებას.

სხვა შემთხვევაში, თქვენი გამოკვლევების შედეგები სხვა პასუხისმგებელ უწყებას მხოლოდ თქვენი თანხმობის შემთხვევაში გადაეცემა.

თავშესაფრის მამიებელთა სამედიცინო მომსახურების შესახებ სხვა დანარჩენ ინფორმაციას მიიღებთ უცხოელთა მონაცემების ცენტრალურ უწყებაში და მოგვიანებით თქვენთვის გამოყოფილ სამედიცინო დაწესებულებაში.

თქვენ გევალებათ თქვენთვის გადმოცემული ანამნეზის შესაგროვებელი სამედიცინო ანკეტის (კითხვები დაავადებების ისტორიის შესახებ) შევსება და გადაცემა იმ ჯანდაცვის წარმომადგენელი ექიმისთვის, რომელიც გამოკვლევებს ატარებს.

გთხოვთ, ანკეტა შეავსოთ თქვენი შვილებისთვის, თითოეულისთვის ცალ-ცალკე.

შიდსის/აივ-ინფექციის, ჰეპატიტისა და სხვა სქესობრივი გზით გადამდები დაავადებების შესახებ ინფორმაციასა და რჩევებს, ასევე შესაბამის ლაბორატორიულ კვლევებს, საჭიროების შემთხვევაში, პირველადი კვლევებისგან დამოუკიდებლად, მიიღებთ შესაბამის ადგილობრივ სამედიცინო დაწესებულებაში. მსგავსი კვლევა მიზანშეწონილია იმ შემთხვევაში, თუ არსებობს იმის რისკები, რომ წარსულში შესაძლებელი იყო ინფიცირების კერასთან გქონოდათ შეხება, ან წარსულში აღგენიშნებოდათ დაავადების სიმპტომები. აღნიშნული გამოკვლევა ნებაყოფილობითია და თქვენი თანხმობის შემთხვევაში ტარდება. გამოკვლევის შედეგების შესახებ ინფორმაცია, ცხადია, კონფიდენციალურია.

დაავადებების შესახებ ინფორმაცია

შიდსი/აივ-ინფექცია

შიდსი ეწოდება იმუნოდეფიციტით გამოწვეულ დაავადებას, რომელიც თავს იჩენს ადამიანის იმუნოდეფიციტური ვირუსით (აივ) დაინფიცირების შედეგად. ადამიანის იმუნოდეფიციტური ვირუსი (აივ) უტევს და აზიანებს ორგანიზმის დამცავ უჯრედებს.

აივ-ით დაინფიცირებიდან რამდენიმე კვირის შემდეგ თავდაპირველად თავს იჩენს გრიპისთვის დამახასიათებელი ჩივილები, როგორცაა სიცხე და სახსრების ტკივილი. აივ-ინფექციის შემდგომი მიმდინარეობა ინდივიდუალური და ურთიერთგანსხვავებულია. ორგანიზმის თავდაცვის სისტემის მზარდი დაზიანების შედეგად, საბოლოოდ შესაძლებელია, თავი იჩინოს ისეთმა მძიმე ინფექციურმა დაავადებებმა, რომლებიც ჯამრთელ თავდაცვის სისტემას ზიანს ვერ აყენებენ, ასევე იშვიათმა სიმსივნურმა წარმონაქმნებმა და ცენტრალური ნერვული სისტემის მძიმე დაავადებებმა.

C ჰეპატიტი

C ჰეპატიტი-ის ვირუსით (HCV) დაინფიცირება უმეტესად შეუმჩნევლად მიმდინარეობს. მიუხედავად ამისა, ინფექციის მატარებელი ადამიანი გადამდებია. იმ შემთხვევაში, თუ დაავადების სიმპტომები სახეზეა, თავს იჩენს ისეთი ჩივილები, როგორცაა მადის დაქვეითება, დაღლილობა, კუნთებისა და სახსრების ტკივილები, მუცლის ტკივილები, გულის რევის შეგრძნება, პირღებინება, და დაბალი სიცხე. გარდა ამისა, შესაძლოა გაყვითლდეს კანი და თვალის კონიუნქტივი. C ჰეპატიტი მხოლოდ იშვიათ შემთხვევაში იკურნება თავისთავად. შემთხვევათა სამი მეოთხედი ქრონიკულად მიმდინარეობს. რამდენიმე წლის შემდეგ შესაძლოა, ადგილი ჰქონდეს ღვიძლის მძიმე დაზიანებას.

სიფილისი

სიფილისი (იგივე ათაშანგი) მსოფლიოს მასშტაბით გავრცელებული, გადამდები დაავადებაა. სიფილისის გამომწვევია მიკროსკოპულად მცირე სპირალის ფორმის ბაქტერია. სიფილისი რამდენიმე სტადიად მიმდინარეობს. დაავადების სიმპტომები მეტად განსხვავებული და მრავალფეროვანია.

ინფიცირებიდან დაახლოებით 3 კვირის შემდეგ შესაძლოა, დაინფიცირების ადგილზე (მაგ. სასქესო ორგანოები) თავი იჩინოს ბუშტუკებმა და მოგვიანებით წყლულებმა, რომლებიც არ არის მტკივნეული და თავისთავად სპონტანურად ქრება. თუმცა, ამით ინფექცია არ ითვლება თავიდან აცილებულად და შესაძლოა, ქრონიკული ფორმა მიიღოს. შესაძლებელია, მთელ სხეულზე გაჩნდეს გამონაყარი და თავი იჩინოს ლიმფური კვანძების შესიებამ. ინფიცირებიდან რამდენიმე წლის შემდეგ შესაძლებელია, ადგილი ჰქონდეს სხვადასხვა ორგანოს, როგორცაა გული, მსხვილი არტერიები, ღვიძლი, ძვლები, ასევე ნერვული სისტემა, მეტწილად გრძელვადიან დაზიანებებს.

თუ სიფილისმა თავი იჩინა ორსულობის პერიოდში, ბაქტერიებმა შესაძლოა ნაყოფს მძიმე ზიანი მიაყენონ.